სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მეია მელქაძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	23	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	6	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	87	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 06.12.2024 г

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„6 “ დეკემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მეია მელქაძის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 38 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **მეია მელქაძე.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 3 დეკემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მეია მელქაძის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **მეია მელქაძე** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, კორექტულობით, კომპეტენტურობით, ერთგულებით, შრომისმოყვარეობით და სამართლიანობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, **მეია მელქაძეს** უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ორი ფაქტი, ერთ შემთხვევაში გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო მეორე შემთხვევაში დაკისრებული ჯარიმა გადახდილია დროულად.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მეია მელქაძე <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

მეია მელქაძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/19.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 9.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - მეია მელქაძეს, აქვს ღრმა თეორიულ ცოდნა და უნარი გამოიყენოს იგი პრაქტიკაში. ყურადღებას ამახვილებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და მტკიცებულებებზე. მსჯელობს არგუმენტირებულად და ავითარებს სამართლებრივად სწორ მსჯელობას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად ასახავს ფაქტებსა და მსჯელობებს. დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს დიდი გულისხმიერებით, დაკვირვებითა და ყურადღებით. *ადმინისტრაციულ სამართალში* - მეია მელქაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს უნარი სწორად შეაფასოს

საკითხი და მოახდინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი ანალიზი. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტებში ასახული მსჯელობა სამართლებრივად სწორად, ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული. *სისხლის სამართალში* - მეია მელქაძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მას, ასევე შესწევს შეცდომის აღიარების უნარი და მუდმივად სწრაფვა მეტის სწავლებასა და განვითარებისათვის. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარებისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე, ამასთან მან უნდა განავითაროს ზეპირი გადმოცემის უნარი. ასევე, რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე, ასევე ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკურ საკითხებზე."

საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ **მეია მელქაძე** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, მას გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, მხოლოდ კანონის, საქმის გარემოებების და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლო სისტემაში მუშაობის ხანგრძლივი დროის განმავლობაში კანდიდატს შეძენილი აქვს დიდი პრაქტიკული გამოცდილება, მას შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სისხლის სამართლის სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა სწორად, გასაგებად და საგნობრივად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

მეია მელქაძეს გააჩნია ლოგიკური მსჯელობის, ანალიზის და დასაბუთების უნარი. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - **მეია მელქაძის** მიერ მომზადებული გადაწყვეტილებებისა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები შედგენილია სწორი საპროცესო ფორმით. აქვს სტილისტურად გამართული და გრამატიკულად სწორად წერის ჩვევა, რაც უფრო ნათელს და გასაგებს ხდის მის მიერ მომზადებულ დოკუმენტს. ისინი ზოგჯერ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა. პროექტის წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუალური და სტილისტური შეცდომები. მეია მელქაძე გასაგებად გადმოსცემს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სამართლებრივ შეფასებებს. ამასთან, მან უნდა განავითაროს წერილობითი გადმოცემის უნარი. შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ამომწურავად გადმოსცემს აზრს და შემდეგ მოკლე შეჯამებას ასახავს წერილობით. გადაწყვეტილებებზე მსჯელობისას საკუთარ აზრს გადმოსცემდა გასაგებად, მეტყველებდა გამართული ქართულით და ყურადღებას ამახვილებდა საქმის მასალების მნიშვნელოვან ასპექტებზე. მეია მელქაძე მეტწილად ლაკონიურად და გასაგებად გადმოსცემს აზრს. მან უნდა განავითაროს ზეპირი გადმოცემის უნარი.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატს შეუძლია ეფექტურად დაგეგმოს სამუშაო პროცესი, სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები, მოამზადოს საქმე ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სწორად გაანაწილოს და ოპტიმალურად გამოიყენოს დრო და რესურსები.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

მეია მელქაძეს აქვს სიახლის მიმართ ინტერესი და ღიაობა, აქვს თვითგანვითარების ინტერესი და შესწევს ამის უნარიც.

კანდიდატი 2002-2003 წლებში იყო სამართლის პედაგოგი - თბილისის 144-ე საშუალო სკოლაში.

მეია მელქაძეს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა, ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, მას ასევე ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა და გავლილი აქვს სამთვიანი სასწავლო კურსი.

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 6 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

2.6. პროფესიული აქტივობა

მოცემული კრიტერიუმებით **მეია მელქაძის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი მონაწილეობას იღებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, სადაც ღიად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

მეია მელქაძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

- „ევროპული სტანდარტები დისკრიმინაციაზე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ჩადენისა და სიძულვილის ენის გამოყენებაზე და სტატისტიკის მნიშვნელობაზე" - ევროპის საბჭო, 2021 წელი;
- „სტრესის მართვა" - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2020 წელი;
- „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება" - იუსტიციის უმაღლესი სკოლა, 2019 წელი და სხვა.

დასკვნა: პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მეია მელქაძე** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მეია მელქაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა 87 (ოთხმოცდა შვიდი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი